ოქმი:**ო37. 37263068**

თარიღი:**02/11/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ვლადიმერ ხავთასის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 28 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
12:00 -13:00-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. აღნიშნა, რომ ვლასდიმერ ხავთასი არის პასუხისმგებლიანი, ორგანიზებული, მაჟორიტარი საკრებულოს წევრი. აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, გამოირჩევა ამომრჩევლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

საკრებულოს წევრმა ვლ ხავთასმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ქ. ოზურგეთში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მომავალ სამოქმედო გეგმაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის ვლ. ხავთასის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ამომრჩევლებმა აღნიშნეს-საკრებულოს წევრი არის ამომრჩევლებისადმი ყურადღებიანი, არ იმსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან, პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა

სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

